



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 2

„ 18 „ 04 2022წ.

**დადგენილება № 8**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული „საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, მესამე მუხლის მე-2 პუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. ჩამოწერილ იქნეს „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 14 მარტის N252966 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნის შესაბამისად სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივები და მოძრავი ქონება (დანართები #1 და #3).“
2. გადაეცეს შემდგომი განკარგვის მიზნით სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 14 მარტის N252966 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნის შესაბამისად სსიპ

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ჩამოსაწერი ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივები (დანართი #4).

3. დადგენილების პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული საკითხები თანდართული დოკუმენტებით შეთანხმების მიზნით წარედგინოს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, იურისტს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
სპიკერი, პროფესორი

ლ. ჩიჭყაძე

ლავრენტი ჩიბურდანიძე